

7. ნიადაგების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ამაღლება

ნიადაგები წარმოადგენენ ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთ უმსხვილეს რეზერვუარებს პლანეტაზე, ხოლო ნიადაგური ორგანიზმები ასრულებენ გადაწყვეტ როლს ეკოსისტემების მრავალგვარი მომსახურების განხორციელებაში. ბიომრავალფეროვნების ხარისხის სიზუსტე აუცილებელია ნიადაგის ძირითადი ფუნქციების მხარდასაჭერად. ნაკლებად ცნობილია, მაგრამ ბიოქიმიური მეთოდების და დნმ-ის საანალიზო ახალი ინსტრუმენტები გვაძევენ ამ სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესით.

- საჭიროა ნიადაგის მრავალფეროვნების მონიტორინგის პროგრამების შექმნა, ბიოლოგიური ინდიკატორების მონიტორინგის ჩათვლით (თანასაზოგადოების ეკოტოქსიკოლოგია) და შემუშავდეს სისტემების ადრინდელი საცნობარო/შეტყობინების სიგნალები in situ
- საჭიროა ხელი შეუწყოს ნიადაგში ორგანული ნივთიერებების შემცველობას ნიადაგის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისუნარის დონეზე, ან ავამაღლოთ ის საკმარისი მცენარეული საფარით უზრუნველყოფის ხარჯზე (მაგალითად, ნიადაგის საფარის კულტურები, მრავალმინდვრიანი თესლბრუნვა), საკვები ნივთიერებების ოპტიმალური რაოდენობით შეტანა, სხვადასხვა ორგანული გამაუმჯობესებლების შეტანა, ნიადაგის საფარის დარღვევის მინიმუმამდე დაყვანა, დამლაშების აცილება და მცენარეულობის ხელშეწყობა, ან აღდგენა (მინდვრის და ტყის დამცავი ნარგაობა)
- სასოფლო სამეურნეო სისტემებში პესტიციდების რეგისტრაცია და გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს პესტიციდებთან უსაფრთხო მოქცევის საერთაშორისო კოდექსის რეკომენდაციებს და შეესაბამებოდეს ნაციონალურ ნორმებს; საჭიროა მავნებლებთან კომპლექსური ბრძოლის წახალისება, ან ბუნებრივი პესტიციდების გამოყენება
- იქ სადაც მიზანშეწონილია საჭიროა აზოტფიქსატორი მარცვლოვან-ჰარკოსანი კულტურების, მიკრობიოლოგიური ინოკულიანტების, მიკორიზების, (სპორები, ჰიფები და ფესვთა ფრაგმენტები) წვიმის ჭიების

და სხვა სასარგებლო ნიადაგური მიკრო და მაკრო ორგანიზმების გამოყენება (მაგალითად, „ ხოჭოების ბანკი“--სახნავ მინდვრებზე დარგული მრავალწლიანი მცენარეების იზოლირებული ზოლები, რომლებიც გამოიყენება იმ მწერების საცხოვრისის შესაქმნელად, რომლებიც არიან სოფლის მეურნეობის მავნებლების ბუნებრივი მტრები). აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ინვაზიური სახეების შეტანის რისკების შემცირებას და გვერდის სწრაფვა გამოვიყენოთ ადგილობრივი ბიომრავალფეროვნება, მოვერიდოთ ნიადაგის ეკოსისტემის მომსახურებაში დარღვევების რისკს.

- ეკოსისტემებში მცენარეული ბიომრავალფეროვნების აღდგენა და ამით ნიადაგების ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობა
- ხელი შეუწყობთ თესობრუნვებს, კულტურათა შეთავსებას და ბუფერული ზონების დაცვას, ცოცხალ ღობეებს და რეფუგიუმებს ბიომრავალფეროვნებისათვის
- ბიომრავალფეროვნების მაღალი დონის რაიონებში მიწათსარგებლობის მახასიათებლების ნებისმიერი ცვლილება უნდა რეგულირდებოდეს ტერიტორიული დაგეგმარებით და გეო-ს წესდების შესაბამისად, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით და ნაციონალური კანონებით.